ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ.თბილისში, ევტიხი ჟვანიას ქუჩა N5-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.19.24.004.005) დაპროექტებული საწყობის არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

ექსპერტი:  ნიკოლოზ გობეჯიშვილი

თ ბ ი ლ ი ს ი

2025 წ.

საფუძველი: „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება.

ობიექტის მისამართი: ქ.თბილისი ევტიხი ჟვანიას ქუჩა N5
მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 01.19.24.004.005

ობიექტის ფუნქცური დანიშნულება: სტამბის სათადარიგო მექანიზმების საწყობი

პროექტის ავტორი: გიორგი კოპაძე

შენობა-ნაგებობათა უსაფრთხოების ექსპერტი: ნიკოლოზ გობეჯიშვილი

საექსპერტო დასკვნა მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

1) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;

2) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;

3) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;

4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების, გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;

5) მისაწვდომობის შეფასებას;

6) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

7) სახურავის ანაწყობების შეფასებას;

8) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;

9) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;

10) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

11) ლიფტების შეფასება;

საექსპერტო დასკვნის შესადგენად ექსპერტიზისათვის გადმოცემულია სტამბის სათადარიგო მექანზნების სასაწყობე შენობის არქიტექტურული პროექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ მასალებს:

1. ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის ობიექტის თაობაზე (აღნიშნული მოიცავს: თავფურცელს; ფურცლების ჩამონათვალს; პირობით აღნიშვნებს; დაგეგმარების მიზნის აღწერას; შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზს)
2. შენობა-ნეგებობის ტექნიკურ მაჩვენებლებს
3. სიტუაციურ სქემას
4. არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალას
5. მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმას −1:500 მ
6. მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილი მიწის ნაკვეთის გეგმას (გენგეგმა)
7. შენობა-ნაგებობების განთავსებასა და სიმაღლეებს
8. გეგმებს, ჭრილებს, ფასადებს
9. დეტალების ფრაგმენტულ ნახაზებს
10. დაკავებულობისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გეგმებს (აღნიშნული მოიცავს: დაკავებულობის დატვირთვებს; გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობებს; გასასვლელებს; გასასვლელთან მისადგომებს; გასავლელებსა და შენობიდან გამოსასვლელებს; გასასვლელამდე სავალ მაქსიმალურ მანძილებს; ცეცხლმედეგობის ხარისხიან მოთხოვნილ გამმიჯნავებს).
11. შენობის ვიზუალიზაციას

შენიშვნა: მოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

განმარტებითი ბარათი:

საპროექტო ტერიტორიის ფართობია: 3590 კვ.მ.

პროექტირების საფუძველია : მიწის ნაკვეთის სამშნებლოდ გამოყენების პირობები:

ბრძანება N7454729 23/04/2025.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ.თბილისი, ევტიხი ჟვანიას ქუჩა N5, ს/კ 01.19.24.004.005 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე.

ნაკვეთს დასავლეთით ესაზღვრება მის სასარგებლოდ სერვიტუტით დატვირთული მიწის ნაკვეთი, ხოლო ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და სამხრეთით ესაზღვრება რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები. საპროექტო ტერიტორიის რელიეფი სწორია. იგეგმება ტერიტორიაზე არსებული საწყობის შენობის გატიხვრა, +4.500 ნიშნულზე სართულის დამატება (მონოლითური ფილის მოწყობა).

არსებული შენობა წარმოაგდენს ერთ სართულიან მონოლითურ კონსტრუქციას, წერტილოვან საძირკველზე, საპროექტო ფილა ეწყობა დამატებითი რკინაბეტონის რიგელებით და კოჭებით. პირველი სართულის მეორე სართულთან დაკავშირება მოხდება საპროექტო კიბით და ლიფტით. შენობის პირველ სართულზე ეწყობა 1 საათიანი ცეცხლმედეგი კედლით გამიჯნული დერეფანი. დაგეგმილი რკინაბეტონისა ფილის მოწყობა განხორციელდება არსებული შენობის გაბარიტული ზომების და გარე ვიზუალის ხელშეუხებლად.

შენობის ფუნქციური დანიშნულებები სართულებზე გადანაწილებულია შემდეგი სახით:

- მიწის დონის ზედა მიწისპირა პირველი სართული (+0.00 ნიშნული)- სწ-1 ჯგუფი;
- მიწის დონის ზედა მეორე სართული (+4.500 ნიშნული)- სწ-1 ჯგუფი.

საპროექტო შენობის ყველა სართული მისაწვდომია შშმ პირისათვის. მისაწვდომობასთან დაკავშირებული ვრცელი ანალიზი იხილეთ წინამდებარე დასკვნაზე თანდართულ მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტის საფუძველზე განხორციელებულ შეფასებაში.

1	გამოყენებული დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება :

- შენობის თითოეული ნაწილი დაკავებულობის და გამოყენების მიხედვით კლასიფიცირებულია 302 ქვეთავის შესაბამისად.
- <u>საშუალო საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-1:</u> ±0.00 და +4.50 ნიშნულებზე შეესაბამება 311.3 ქვეთავს;
- შენობა განკუთვნილია სტამბის სათადარიგო მექანიზმების დასასაწყობებლად.

- **დაკავებულობის დატვირთვა გამოანგარიშებულია 1004.1.2 ცხრილის მიხედვით.** დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი საწყობისთვის შეადგენს 46.5-ს (მთლიანი).

- ზემოაღნიშნული ფაქტორების მიხედვით არის შემდომ დაანგარიშებული დაკავებულობის დატვირთვა (იატაკის ფართობი გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფასქტორზე). გეგმებზე დატანილია თითოეული სივრცის დაკავებულობის დატვირთვა სწორად არის განხორციელებული;

- იატაკის ფართობში „წესების“ განმარტების (ქვეთავი 202) მიხედვით დათვლილია გარე კედლების შიგა პერიმეტრის საზღვრებში მოქცეული თითოეული სართულის მთლიანი (შახტების გარეშე) გარე კედლებს შორის მოქცეული ფართობი და გადახურული აივნები.

<u>დაკავებულობის ჯგუფების შერჩევა და ასევე მათი დატვირთვების გამოანგარიშება განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.</u>

2 შენობის ზოგადი სიმაღლის და ფართობის შეფასება:

- საპროექტო შენობის სიმაღლე მიწის დონიდან განსაზღვრულია 10.6 მეტრით;
- მიწის საკონტროლო დონე განსაზღვრულია სწორად და უტოლდება 476.25 აბსოლიტურ ნიშნულს;
- საპროექტო შენობას გააჩნია ორი მიწის დონის ზევით სართული +0.00 და +4.50 ნიშნულებზე;
- შენობის ყველაზე მაღალი დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი ნინულიდან 4.50 მ სიმაღლეზე.
- სართულებზე დაკავებულობის ჯგუფები გადანაწილებულია შემდეგი სახით:
- პირველი სართული (+0.00 ნიშნული) - ჯგუფი **სწ-1;**
- მეორე სართული (+4.50 ნიშნული) - ჯგუფი **სწ-1;**
- წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს.

3 კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

- შენობის კონსტრუქციული ტიპი **II-B** განსაზღვრულია სწორად, რომელიც შერჩეულ იქნა შენობის დაკავებულობის, სართულიანობის, სიმაღლისა და ფართობის მიხედვით და სრულიად აკმაყოფილებს 503 ცხრილის მოთხოვნებს.
- შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოს, მზიდი კედლების, იატაკის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების, სახურავის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის მინიმალური ხარისხი შეესაბამება 601-ე ცხრილის მოთხოვნებს და შენობის ასეთი ელემენტების, კომპონენტების და ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხები განსაზღვრულია 721 ქვეთავის მიხედვით.

  ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო ---------- 0 სთ.

  მზიდი კედლები ---------- 0 სთ.

  არამზიდი კედლები ---------- 0 სთ.

  იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ---------- 0 სთ.

  სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ---------- 0 სთ.

- რაც შეეხება შენობის გარე არამზიდ კედლებს, პროექტით დაცულია ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები, რომელიც შეესაბამება 602 ცხრილის და 705.8.5 ქვეთავის მოთხოვნებს.

4 გასასვლელი საშუალებების შეფასება:

- საპროექტო შენობის +0.00 ნიშნულზე გათვალისწინებულია ორი გასასვლელი, რომელიც უზრუნველყოფს შიგა გასასვლელის გზა კიბეებით, რაც აკმაყოფილებს ცრილი 1021.2(2)-ის მოთხოვნას. ორი აუცილებელი გასასვლელი ერთმანეთისგან დაშორებულია სართულის მაქსიმალური დიაგონალის ნახევარზე მეტი მანძილით, რაც აკმაყოფილებს 1015.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- საპროექტო შენობის +4.50 ნიშნულზე განთავსებულ სართულს, დაკავებულობის დატვირთვიდან და გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილებიდან გამომდინარე, საკმარისია ემსახურებოდეს ერთი გასასვლელი, რაც აკმაყოფილებს 1021.2 (2)2-ის მოთხოვნას.
- გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილები თითოეული სასაწყობო სივრცისთვის აკმაყოფილებს 1016 ცხრილის მოთხოვნას.
- არცერთი გასასვლელი კარის თავისუფალი სიგანე არ არის 0.82 მ-ზე ნაკლები.
- შენობიდან გავდივართ პირდაპირ გარეთ, რაც აკმაყოფილებს 1027.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- შენობიდან გამოსასვლელები უზრუნველუფენ საზოგადოებრივ გზასთან დაუბრკოლებელ კავშირს საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით, რაც აკმაყოფილებს 1027.5 ქვეთავის მოთხოვნას.
- შიგა გასასვლელის გზა-კიბე მიემართება პირდაპირ შენობის გარეთ, რაც აკმაყოფილებს 1022.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- გზა-კიბის საზღვრებში გასავლელის თავისუფალი სიმაღლე არ არის 2,05 მეტრზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1009.5 ქვეთავის მოთხოვნას.
- გზა-კიბე აკავშირებს 2 სართულს და ნიავდება მექანიკურად.
- არცერთი გზა-კიბის სუფთა სავალი სიგანე კედელსა და მოაჯირს შორის არის 1.05 მ, რაც აკმაყოფილებს 1005.3.1 და 1009.4 ქვეთავების მოთხოვნებს.
- გზა-კიბის ცალ მხარეს კედელს მიუყვება სახელური, რაც აკმაყოფილებს 1009.15 ქვეთავის მე-2 გამონაკლისის მოთხოვნას.
- კიბის საფეხურების ზომები შეესაბამება 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ: კიბის საბიჯელების სიღრმე განსაზღვრულია მინიმუმ 28 სმ-ს, ხოლო საფეხურის ამაღლება მაქისმუმ 18 სმ-ს.
- საფეხურების ერთგვაროვნება აკმაყოფილებს 1009.7.4 ქვეთავის მოთხოვნას.
- საფეხურების ნაშვერების ზომა (რაც განსაზღვრულია პროექტით 2 სმ) შეესაბამება 1009.7.5.1 და 1009.7.5.2 ქვეთავების მოთხოვნებს.

- იატაკის დონეებსა ან ბაქნებს შორის კიბის მარშის შვეული ამაღლება არ აღემატება 3.7 მ-ს, თანახმად 1009.10 ქვეთავისა.
- კიბის მოაჯირები აკმაყოფილებს 1013 ქვეთავის მოთხოვნებს.
- კიბის სახელურები აკმაყოფილებს 1012 ქვეთავის მოთხოვნებს.
- გზა-კიბის ბაქნები აკმაყოფილებს 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.
- გასასვლელის ყველა კარი იღება გვერდითა ანჯამების საშუალებით, რაც შეესაბამება 1008.1.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილი, ყველა სართულზე აკმაყოფილებს 1016.2 ცხრილით განსაზღვრულ მაქსიმალურ მაჩვენებლებს.
- თითოეულ გასასვლელის კარს ემსახურება გასასვლელის ნიშანი, თანახმად 1011.1 ქვეთავისა. გასასველლის ნიშნების განათებულობა გათვალისწინებულია. ამობურცული ნიშნებითა და ბრაილით წარწერა „გასასვლელი/EXIT“ მოწყობილია გასასვლელის ყველა გზა-კართან, რაც შეესაბამება 1011.4 ქვეთავის მოთხოვნას.
- შენობიდან გამოსვლა და საზოგადოებრივ სივრცეში მოხვედრა შესაძლებელია დაუბრკოლებლად საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით, რაც აკმაყოფილებს 1027.1 და 1027.5 ქვეთავების მოთხოვნებს.

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების ნორმები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

5	მისაწვდომობის შეფასება:

- თანახმად 1103.1 ქვეთავისა, დროებითი ან მუდმივი ადგილები, შენობები, ნაგებობები, საშუალებები, ელემენტები და სივრცეები მისაწვდომი უნდა ყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციის დაცულია და მთელი შენობა და მიწის ნაკვეთი მისაწვდომია.
- საპროექტო შენობის ორივე შესასვლელი მისაწვდომია, რაც შეესაბამება 1105.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- სასაწყობო ფართობებს ემსახურება მისაწვდომი ტუალეტის ოთახი, რაც შეესაბამება 1109.2 ქვეთავს.
- სამგზავრო ლოფტი მისაწვდომია შშმ პირთათვის და აკმაყოფილებს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს.
- მისაწვდომი გასასვლელი საშუალება მიემართება საზოგადოებრივი გზისკენ, რაც შეესაბამება 1007.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო განთავსებულია მისაწვდომ ტუალეტებთან, შესაბამისი ამობურცული სიმბოლოებითა და ბრაილის წარწერით, რაც შეესაბამება 1110.1 ქვეთავს.
-

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 11, ქვეთავი 1103

<u>მისაწვდომობის აუცილებლობა განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.</u>

6	გარე კედლების შეფასება:

- საპროექტო სამუშაოები ეხება არსებულ შენობა ნაგებობაში ფილის მოწყობას+4,500 ნიშნულზე, შესაბამისად გარე კედლები რჩება უცვლელად.

7	სახურავის ანაწყობების და სახურავზედა ნაგებობების შეფასება:

- საპროექტო სამუშაოები ეხება არსებულ შენობა ნაგებობაში ფილის მოწყობას+4,500 ნიშნულზე, შესაბამისად არსებული სახურავი რჩება უცვლელად.

8 ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

- შიგა გასასვლელის გზა-კიბისგან შენობის ფართობების გამმიჯნავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეებს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 1 საათს, რაც შეესაბამება 707.3.2 და 1022.2 ქვეთავების მოთხოვნას.
- გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით შეესაბამება 705.8 ცხრილის მოთხოვნებს.
- შენობას არ მოეთხოვება პარაპეტი 705.11 ქვეთავის პირველი გამონაკლისის თანახმად.
- კარის ღობის ცეცხლისგან დამცავი ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 716.5 ცხრილის შესაბამისად

9 ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება:

სახანძრო მილდგარების სისტემა:

- 905.1 ქვეთავის თანახმად სახანძრო მილდგარების სისტემები არ მოეთხოვება საპროექტო შენობას.

ხელის ცეცხლმაქრები:

- 906.1 ქვეთავის თანახმად ხელის ცეცხლმაქრები გათვალისწინებულია მთელ შენობაში.

სახანძრო განგაშის და ცეცხლაღმომჩენი სისტემები:

- სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, რომელიც ააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინების სისტემას **(სახანძრო სიგნალიზაცია)** გათვალისწინებულია 907.2.9.1 ქვეთავის მოთხოვნების თანახმად. ასეთი კოლოფები განთავსებულია თითოეული სართულის მომსახურე გასასვლელიდან 1,5 მეტრის საზღვრებში და მათთან მისადგომად არაა საჭირო 60 მეტრზე მეტი მანძილის გავლა, რაც შეესაბამება 907.4.2.1 ქვეთავს. დერეფნებში, დამკავებელთა შეტყობინების სისტემასთან ერთად მოწყობილია **მხედველობითი განგაშის მოწყობილობები.**

კვამლის საკონტროლო სისტემები:

- შენობაში განთავსებულია **კვამლაღმომჩენები** 907 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად.
- სახანძრო განგაში უნდა გააქტიურდეს კვამლაღმომჩენებით.
- შენობაში გათვალისწინებულია ბუნებრივი განიავება
- ლიფტის შახტები უზრუნველყოფილია დაწნევის სისტემით, რაც დასაშვებია 713.14.1

ავარიული განათება:

- გასასვლელ საშუალებებთან, კერძოდ გარეთ გასასვლელის გზა-კარებებთან და გზა-კიბეში შესასვლელ კარებებთან მოწყობილია **ავარიული განათება.**

სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები:

- საპროექტო შენობა აღჭურვილია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლით და სახანძრო ჰიდრანტით.
- სახანძრო მისაერთებელი განთავსებულია ქუჩისკენ სახანძრო მანქანის მისადგომის მხრიდან და ადვილად დასანახი და ამოსაცნობია, რაც აკმაყოფილებს 912.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.

შენიშვნა: *სისტემა მოეწყოს 907 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით.*

ხანძრისგან დაცვის სისტემების მოწყობის აუცილებლობა განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

10	წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

- შენობაში წყალსადენის სისტემის აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობები გათვალისწინებულია და მათი რაოდენობა გაცილებით მეტია 1602.1 ცხრილში მოთხოვნილი რაოდენობისა.
- შენობაში პირველ სართულზე გათვალისწინებულია დამოუკიდებელი ტუალეტის ოთახი შშმ პირთათვის;
- ტუალეტები უზრუნველყოფილია ნიშნებით, მათ შორის მისაწვდომი ნიშნებით, რაც შეესაბამება 1602.4 ქვეთავის მოთხოვნას.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 16, ქვეთავი 1602, ცხრილი 1602.1;

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

11	ლიფტების შეფასება:

- საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობას ემსახურება 1 ლიფტი, რომელიც აკავშირებს 2 სართულს;
- ლიფტს გააჩნია როგორც სამგზავრო ასევე სატვირთო დანიშნულებაც;
- ლიფტი ჰიდრავლიკური ტიპისაა და არ გააჩნია სამანქანო;
- ლიფტი ადაპტირებულია შშმ პირთა გადასაადგილებლადაც.

დ ა ს კ ვ ნ ა:

ქ.თბილისში, ენუქიძის ქუჩა N5-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.19.24.003.001) დაპროექტებული საწყობის არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან. საექპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

ექსპერტი:  ნიკოლოზ გობეჯიშვილი

<u>გამოყენებული (კანონმდებლობა, რეგლამენტები, წესები, სტანდარტები.....)</u>

„ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება.

23.09.2025

<u>ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო შ ე ფ ა ს ე ბ ა</u>

ქ.თბილისში, ევტიხი ჟვანიას ქუჩა N5-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.19.24.004.005) დაპროექტებული საწყობის არქიტექტურული პროექტის „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ პირობების დადგენის მიზნით

ექსპერტი:  ნიკოლოზ გობეჯიშვილი

თ ბ ი ლ ი ს ი

2 0 2 5

ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს საფუძველზე შეფასდა:		
1	**მისაწვდომი სვლაგეზი:**	• მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები; • თითოეული კარი და კართან მანევრირებისთვის საჭირო სივრცეები;
2	**წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები:**	• ტუალეტების ოთახები: • უნიტაზები; • ხელსაბანები;
3	**საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები:**	• ნიშნები;

1. მისაწვდომი სვლაგეზი:

საპროექტო მიწის ნაკვეთსა და საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-4 თავის დებულებებს. მისაწვდომი სვლაგეზი მოიცავს არაუმეტეს 1:20 დახრილ სავალ ზედაპირებს, კარებს და პანდუსს რაც შეესაბამება 402.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- **მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები შეესაბამება 403 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**
- იატაკის ზედაპირები არის მდგრადი, მყარი და არასრიალა, რაც შეესაბამება 302 ქვეთავის მოთხოვნას.
- საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით მოწყობილი სავალი ზედაპირის დახრილი სვლა არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, ხოლო სავალი ზედაპირის განივი დახრა არ აღემატება 1:48-ს, თანახმად 403.3 ქვეთავისა.
- იატაკის ზედაპირებზე დონე არ იცვლება, შესაბამისად დაკმაყოფილებულია 303-ე ქვეთავის მოთხოვნა.

- მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე შენობაში უტოლდება 900 მმ-ს, ხოლო შენობის გარეთ - 1200 მმ-ს, რაც შეესაბამება 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 180 გრადუსიან ბრუნს (სასაწყობო სივრცეში, თაროებს შორის), თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.2.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.
- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 90 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.3.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.
- საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები მოიცავს გვერდასავლელ სივრცეებს, რაც შეესაბამება 403.5.4.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- **კარები და გზა-კარები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 404 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**
- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებული ყველა გზა-კარის თავისუფალი სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 404.2.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებულ ყველა კართან და გზა-კართან უზრუნველყოფილია მანევრირებისათვის თავისუფალი სივრცე 404.2.3.2 ცხრილის შესაბამისად. მანევრირებისთვის აუცილებელ თავისუფალ სივრცეში, იატაკის ზედაპირი შეესაბამება 302-ე ქვეთავს და მათი ზედაპირი არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 404.2.3 და 404.2.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს.
- გზა-კარებები ზღურბლის გარეშეა და კართან იატაკის დონეები უცვლელია.
- კარის კავეულის სიმაღლე მდებარეობს არაუმცირეს 860 მმ და არაუმეტეს 1200 მმ სიმაღლეზე, რაც შეესაბამება 404.2.6.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში, შვეულად გაზომვისას, კარების ზედაპირები გლუვია მიწოლის მხარეს და ასეთი გლუვი ზედაპირები კარის მთელ სიგანეზე გრძელდება. კარის კავეული და ნებისმიერი სხვა შემაფერხებელი ან გამოშვერილი ნაწილი, არ არის მოწყობილი იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 404.2.9 ქვეთავის მოთხოვნებს.

2. წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები

საპროექტო სივრცეში განთავსებული ტუალეტები შეესაბამება 603 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ტუალეტის ოთახებში უზრუნველყოფილია საპროექტო შენობებისათვის განკუთვნილი T-ს ფორმის მოსატრიალებელი სივრცე, რაც შეესაბამება 603.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- ტუალეტის ოთახების კარის გაღებისას, ისინი არ იჭრებიან მოწყობილობებისათვის განკუთვნილ იატაკის თავისუფალ სივრცეებში, რაც შეესაბამება 603.2.2 ქვეთავს.

- **ტუალეტის ოთახებში განთავსებული უნიტაზები შეესაბამება 604 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**
- უნიტაზის განთავსებულია კედელთან ახლოს და უნიტაზის ცენტრიდან კედლის ზედაპირამდე მანძილი განსაზღვრულია 450 მმ-ით, რაც შეესაბამება 604.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- უნიტაზთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე 1400 მმ სიღრმისა და 1500 მმ სიგანის სახით, სადაც არ იჭრება რაიმე სახის დეტალი, რაც აკმაყოფილებს 604.3 ქვეთავის მოთხოვნას.
- უნიტაზის დასაჯდომის სიმაღლე განთავსებულია 450 მმ-ზე იატაკის ზედაპირიდან, რაც შეესაბამება 604.4 ქვეთავს.
- უნიტაზთან მოწყობილია ხელჩასაჭიდი ძელები 604.5 ქვეთავის მოთხოვნების დაცვით.
- უნიტაზთან მოწყობილი ძელები შეესაბამება 609 ქვეთავის მოთხოვნებს.
- **ტუალეტის ოთახებში განთავსებული ხელსაბანები შეესაბამება 606 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**
- ხელსაბანთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე, 606.2 ქვეთავის შესაბამისად.
- ხელსაბანის განთავსების სიმაღლე შესაბამისობაშია 606,3 ქვეთავის მოთხოვნასთან.

3. საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები:

საპროექტო შენობაში დაკმაყოფილებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის #41-ე დადგენილების მოთხოვნები შენობებში მისაწვდომობის ნიშნების მოწყობისა და ადგილმდებარეობის თაობაზე და ყველა ასეთი ნიშანი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს, კერძოდ ნიშნები მოწყობილია ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში:

- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო მოწყობილია მისაწვდომ ერთადგილიან ტუალეტის ოთახთან. **ნიშანი შეესაბამება 703.6.3 და 703.2 ქვეთავებს.**

- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ვიზუალური სიმბოლოები შეესაბამება 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**
  - სიმბოლოებს ტრადიციული ფორმა აქვთ. სიმბოლოები არ არის დაწერილი იტალიკით, დახრილად, გაკრული შრიფტით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით.
  - სიმბოლოების ზომა, სიგანე, შტრიხის სიგანე, სიმბოლოებს და სტრიქონებს შორის დაშორება შეესაბამება 703.2.4 – 703.2.8 ქვეთავების მოთხოვნებს.
  - ვიზუალური სიმბოლოების იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.2.4 ცხრილს.
  - სიმბოლოებისა და მათი ფონის ზედაპირი არ კაშკაშებს. სიმბოლოები ფონისგან განირჩევა, ანუ სიმბოლო სიმბოლო მუქი ფერისაა, ფონი კი ღია ფერის, რაც შეესაბამება 703.2.10 ქვეთავის მოთხოვნას.

- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ამობურცული სიმბოლოები შეესაბამება 703.3 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- ამობურცული სიმბოლოები უკანა სიბრტყიდან ამობურცულია 703.3.2 ქვეთავის შესაბამისად.
- ლათინური სიმბოლოები ასახულია დიდი ასობგერებით, თანახმად 703.3.3 ქვეთავისა.
- ლათინური სიმბოლოებისთვის გამოყენებულია „SANS SERIF“-ის ტიპის შრიფტი. სიმბოლოები არ არის შესრულებული იტალიკით, დახრილად, ხელნაწერის სახით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით, თანახმად 703.3.4 ქვეთავისა.
- შრიფტის ყველა სიმბოლოს დასაშვები სიმაღლე, სიგანე, სიმბოლოებს შორის დაშორება, სტრიქონებს შორის დაშორება განსაზღვრულია 703.3.5 – 703.3.9 ქვეთავების შესაბამისად.
- სიმბოლოების იატაკის დონიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.3.10 ქვეთავის მოთხოვნას.
- ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანების განთავსების არეალები შეესაბამება 703.3.11 ქვეთავის მოთხოვნებს.
- სიმბოლოები ფონისგან განირჩევა (მუქი ფერის სიმბოლოებს ღია ფერის ფონი აქვთ), თანახმად 703.3.12 ქვეთავისა.

- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ბრაილი შეესაბამება 703.4 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**
  - ნიშნებზე გამოყენებულია მე-2 ხარისხის ბრაილი, თანახმად 703.4.1 ქვეთავისა.
  - ბრაილის წერტილებს აქვს გუმბათისებური ფორმა და ისინი უნდა შეესაბამება 703.4.3 ცხრილს.
  - ბრაილის განთავსების პოზიცია შეესაბამება 703.4.4 ქვეთავს.
  - ბრაილის იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.4.5 ქვეთავს.
- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული მისაწვდომობის სიმბოლო შეესაბამება 703.6 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**
  - მისაწვდომობის სიმბოლოები მკვეთრად განირჩევა ფონისგან, ანუ მუქი ფერის სიმბოლო მოწყობილია ღია ფერის ფონზე, თანახმად 703.6.2 ქვეთავისა.
  - მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო შეესაბამება 703.6.3.1 სურათს.
  - მისაწვდომობის სიმბოლოები და მათი ფონები არ არის ამრეკლავი.

შეფასება

ქ.თბილისში, ევტიხ ჟვანიას ქუჩა N5-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.19.24.004.005) დაპროექტებული საწყობის არქიტექტურული პროექტის შესაბამისობაშია რეგლამენტი-„ მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებთან.

ექსპერტი:

ნიკოლოზ გობეჯიშვილი  23.09.2025

გამოყენებული (კანონმდებლობა, რეგლამენტები, წესები, სტანდარტები.....)

ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“ დამტკიცების თაობაზე“

ექსპერტის მონაცემები

სახელი, გვარი: ნიკოლოზ გობეჯიშვილი

დაბადების თარიღი და ადგილი: 8 იანვარი 1973 წელი ქ. თბილისი

მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 79, ტ: 555 27 50 05

განათლება: ქ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, არქიტექტურის ფაკულტეტი.

პროფესია: არქიტექტორი.

მუშაობის სტაჟი: 25 წელი,

პროფესიული გამოცდილება: 2000 - 2003 წ.წ. ქ, თბილისის მერიის არქიტექტურულ/სამშენებლო კონტროლის ინსპექცია (მთ, სპეციალისტი, შემდგომ მარჯვენა სანაპიროს სანებართვო განყოფილების უფროსი)

2003 - 2015 წ.წ. ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახური (მთ, სპეციალისტი, მე-3, მე-4 კლასის ობიექტების სანებართვო განყოფილება)

2015 – 2025 წ.წ. შ.პ.ს. ,,მალუგი,, (არქიტექტორი დღემდე)

GEORGIA

DIPLOMA AA № 0071310

This is to certify that Mr/Ms Nikoloz Gobejishvili

in 1998 completed a full academic course of the

Tbilisi State Academy of Arts

majoring in

Architecture

By resolution of the State Examination Board, dated July 1, 1998 Mr/Ms N. Gobejishvili is conferred the present DIPLOMA and the qualification of

an Architect-Artist

Rector

Chairman of the State Examination Board

Dean

City of Tbilisi 2003

Registration № 6252

Secretary

საქართველო

დიპლომი AA № 0071310

მიეცა ნიკოლოზ გობეჯიშვილს

მასზედ, რომ მან 1998 წელს დაამთავრა

სრული კურსი

სპეციალობით.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1998 წლის 1 ივლისის

გადაწყვეტილებით მიენიჭა

კვალიფიკაცია.

რექტორი

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

დეკანი

ქალაქი თბილისი 2003წ.

სარეგისტრაციო № 6252

მდივანი

საქართველოს შრომის უსაფრთხოების,
ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის ასოციაცია

OSHE Georgia

სერტიფიკატი

გადაეცემა ნიკოლოზ გობეჯიშვილს მასზედ, რომ
მან წარმატებით გაიარა
შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების კურსი

02-31 მაისი, 2023

Certificate of Completion

Is awarded to Nikoloz Gobejishvili based on
successful completion of
Building safety course

02-31 May,2023

მამუკა ფირცხალავა / Mamuka Pirtskhalava
პრეზიდენტი / President

T-028815-22

გიორგი ლოთიაშვილი/ Giorgi Lotiashvili
ტრენერი/ Trainer

WWW.OSHE.GE